

დიპტიხის საკითხის შესახებ

1. შესავალი

დიპტიხის თემის წინ წამოწევა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მიერ პირდაპირ უკავშირდება მე-8 მსოფლიო კრების მოწვევის საკითხს. როგორც ცნობილია, ასეთი კრების მოწვევის ინიციატივით კონსტანტინოპოლის საპატრიარქო გამოდის და ასახელებს იმ პრობლემატურ თემებს, რომლებიც, სავარაუდოდ, ამ კრებამ უნდა განიხილოს. დასახელებულ ათ საკითხთა შორის არის საკითხი: „დიპტიხი. მართლმადიდებლური ეკლესიების კანონიკური ურთიერთცნობის წესები“. მე-8 მსოფლიო კრების მოწვევის საკითხს ჩვენ მივუძღვენით ჩვენი წიგნი: „VIII მსოფლიო კრება – განდგომილებისა და ავაზაკთა კრება“, თბილისი, 2010წ., რომელშიც აღვნიშნავდით, რომ კრებაზე განსახილველად დასახელებული არც ერთი თემა არ განეკუთვნება მსოფლიო კრების მიერ განსახილველ საკითხთა რიგს და მათი განხილვა სავსებით შესაძლებელია ორმხრივი თუ მრავალმხრივი შეხვედრების ფორმატში. ამას გარდა, ჩაფიქრებულ მე-8 მსოფლიო კრებაზე დაგეგმილია ისეთი საკითხების განხილვა, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ეკლესიის მოწყობისა და კანონიკური ერთობის არსს და ემსახურებიან ეკლესიაში რეფორმის გატარებისა და სიახლეების შემოტანის აშკარა მცდელობას, რაც საფრთხეს შეუქმნის ეკლესიის ერთობას და გამოიწვევს განხეთქილებებს ადგილობრივ ეკლესიებში. ამიტომ ასეთი კრების მოწვევა ყოველად დაუშვებელია.

კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მიერ საქართველოს ეკლესიის დიპტიხის თემით დაინტერესების საკითხი, შესაძლოა, უკავშირდებოდეს იმ მიზანს, რომ საქართველოს ადგილობრივმა ეკლესიამ მხარი დაუჭიროს მე-8 მსოფლიო კრების მოწვევის საკითხს. მეორე სავარაუდო მიზანი არის საქართველოს ადგილობრივი ეკლესიის რუსეთის ადგილობრივ ეკლესიასთან დაპირისპირების პროვოცირება, რისთვისაც მეტად ხელსაყრელი პოლიტიკური ფონია შექმნილი. ჩვენი აზრით, საქართველოს ეკლესიამ პრინციპული და დასაბუთებული პოზიცია უნდა დაიკავოს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუშვას რუსეთის ადგილობრივ ეკლესიასთან დაპირისპირების ესკალაცია დიპტიხის თემის გამო, რადგან ასეთი მიდგომა თავად დიპტიხის არსს ეწინააღმდეგება, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, სხვა არაფერია, თუ არა ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიათა სულიერი და კანონიკური ერთობის გამოხატვის ფორმა. ამიტომ, განვიხილოთ დიპტიხის საკითხი, თუ რას წარმოადგენს იგი არსობრივად და როგორია ეკლესიის ტრადიცია დიპტიხთან დაკავშირებით, მათ შორის საქართველოს ადგილობრივი ეკლესიის დიპტიხში რიგითობასთან დაკავშირებით.

2. დიპტიხის არსი

დიპტიხი განსაზღვრავს მართლმადიდებელ ეკლესიაში ღმრთისმსახურების დროს ადგილობრივ ეკლესიათა პირველი პირების მოხსენიების რიგითობას, – ყოველი დამოუკიდებელი, ავტოკეფალური ადგილობრივი ეკლესიის მეთაური და მისი დიაკონი ღმრთისმსახურების დროს მოიხსენიებს სხვა ადგილობრივი ეკლესიების მეთაურებს. ამ ქმედებაში კიდევ ერთხელ აისახება ეკლესიის ერთობისა და კრებსითობის პრინციპი. დიპტიხი ადგენს სწორედ იმ რიგითობას, რომლის მიხედვითაც ხდება ადგილობრივ ეკლესიათა მეთაურთა დასახელება.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ დიპტიხი არ განეკუთვნება ეკლესიის მოწყობასთან დაკავშირებულ საკითხთა რიგს. იგი არ განსაზღვრავს ამა თუ იმ ადგილობრივი ეკლესიის სხვა ადგილობრივ ეკლესიებთან მიმართებით უპირატესობისა და მათზე ძალაუფლების რაიმე სამართლებრივ თუ კანონიკურ ნორმას. ამის აღნიშვნა იმიტომ არის აუცილებელი, რომ რომის მწვალებლურ „ეკლესიას“ აქვს მცდელობა დიპტიხის თემა და პირველ ათასწლეულში რომის ეკლესიის დიპტიხში პირველობის საკითხი გამოიყენოს ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიებზე თავის აღმატებულობისა და მათზე გავლენის მოსაპოვებლად. ამ თემაზეც გვქონდა ჩვენ საუბარი ზემოთ დასახელებულ ჩვენს მიერ გამოცემულ წიგნში. ამიტომ დიპტიხის არსის განხილვამდე მიზანშეწონილია მოკლედ განვიხილოთ მართლმადიდებელი ეკლესიის მოწყობისა და ერთობის, ადგილობრივ ეკლესიათა თანაბრობის საკითხი.

დედა ეკლესია შედგება ადგილობრივი ეკლესიებისაგან და ისინი ერთობლივად შეადგენენ ერთ, წმინდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიას. ისინი თანაბარნი არიან და არ არსებობს მათ შორის არც უპირატესი და არც უმცირესი, არც პირველხარისხოვანი და არც მეორეხარისხოვანი. არც სხვა რაიმე ნიშანი ადგილობრივი ეკლესიისა, იქნება ეს ფიზიკური სიდიდე, მრავალრიცხოვნება თუ სხვა რამ, არ განსაზღვრავს ამა თუ იმ ადგილობრივი ეკლესიის უპირატესობასა და აღმატებულობას სხვა ეკლესიებზე.

ადგილობრივ ეკლესიათა თანაბრობის პრინციპი, ისევე, როგორც ეკლესიის წევრთა თანაბრობის პრინციპი, სიმბოლურადაც და არსობრივადაც, გამოხატულია მაცხოვარის მიერ მოციქულთა თანაბრობის განსაზღვრაში და დადგენაში. მეტიც, მაცხოვარმა მცნებად დაულო მოციქულებს, რომ მათ ერთმანეთის წინაშე თავი დაემდაბლებინათ, და არა ის, რომ პირველობა და უპირატესობა ეძიათ. საერთოდ უნდა ითქვას, რომ უპირატესობის აზრი ეწინააღმდეგება სახარების მთელ სულსა და არსს. არაფერში ამხელდა იესო ქრისტე თავის მოწაფეებს ისე ძლიერ, არაფრის წინააღმდეგ აფრთხილებდა ისე გულმოდგინედ, როგორც თავის განდიდების, უპირატესობისკენ სწრაფვის წინააღმდეგ. იგი მათ გამუდმებით შთააგონებდა იმ აზრს, რომ ქრისტიანულ საზოგადოებაში მსგავს მისწრაფებებს არ უნდა ჰქონდეს ადგილი, მათ შორის არ უნდა იყვნენ პირველნი და უკანასკნელნი, მათ შორის მამა, მოძღვარი ან ბატონიც კი არავის უნდა ეწოდოს, – არამედ ყველა ისინი უნდა ითვლებოდნენ ძმებად და გულწრფელად ემსახურონ ერთმანეთს, რისი უმაღლესი მაგალითიც თავად მან, მათმა ღვთაებრივმა მოძღვარმა, უჩვენა მათ (იხ. მათ. 20,25-28; ლუკ. 22,25-27; მარკ. 10,42-45; იოვან. 13,13-15).

ეკლესიის სწავლებით, ყოველი ეკლესიის თავისუფლება და თანაბრობა მოპოვებულია უფალ იესო ქრისტეს სისხლითა და ჯვარცმით. III მსოფლიო კრების მე-8 კანონში აღნიშნულია, რომ ყოველი ეკლესიის დამოუკიდებლობა და თავისუფლება „თვისითა სისხლითა მოგვანიჭა ჩუენ უფალმან ჩუენმან იესო ქრისტემან, განმათავისუფლებელმა ყოველთა კაცთამან“ (დიდი სჯულის კანონი, 1975წ., გვ.267). ამიტომ „პირველობის“ ცნება, იქნება ეს დიპტიხში თუ სხვაგან, მხოლოდ გარკვეული პირობითობით უნდა გავიგოთ, როგორც უპირატესი თანასწორობა შორის, როგორც პატივის, და არა აღმატებულობისა და, მეტადრე, ძალუფლების გამოხატულება.

I მსოფლიო კრების დროს „პირველებად“ ითვლებოდნენ რომის, ალექსანდრიისა და ანტიოქიის ეპისკოპოსები. ისინი ერთმანეთის ტოლებად ითვლებოდნენ I მსოფლიო კრების მე-60 კანონის თანახმად. რომის პაპის მიჩნეული პირველობა გულისხმობდა მხოლოდ და მხოლოდ პატივის პრივილეგიას (πρωτότιμος τιμή) და არა ძალაუფლებისა და მპყრობელობის პრივილეგიას. II მსოფლიო კრებამ რომთან ერთად მისი „ტოლი უპირატესობა“ მიანიჭა კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსსაც. **„კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსსა აქუნდეს წარჩინებულებად პატივისად, სწორი პრომისა ეპისკოპოსისად, ვინადთგან ახალი პრომი არს იგი“** (მე-3 კანონი). მსგავსს აღწერს IV მსოფლიო კრების 28-ე კანონი. **„განჩინებად წმიდისა ამის კრებისად, რომელი ვმა-ყო დიდებულებისათვის წმიდისა ეკლესიისა კონსტანტინოპოლელთადას. . . განეჩინებთ დიდებულებისათვის წმიდისა ეკლესიისა თვთ მის კონსტანტინოპოლისა, ახლისა პრომისა. . . ასერვასითა ღმრთისმოყვარეთა ეპისკოპოსთა სწორნი პატივნი განუჩინეს ახლისა პრომისა უფროდსად წმიდასა საყდარსა“**. ღირსი ნიკოდიმოს მთაწმინდელი განმარტავს (ΝΙΚΟΔΗΜΟΥ ΑΓΙΟΠΕΙΤΟΥ, Ερμηνεία στον ΚΗ' Κανόνα της Δ' Οικουμενικής Συνόδου, Πηδύλιον, σελ. 207-208): **„რადგან რომის საყდარს, იქიდან გამოძღინარე, რომ იქ იმყოფებოდა მეფე, სამართლიანად მიაწერდნენ მამები პრივილეგიას, იმას, რომ ის (მისი ეპისკოპოსი) იწოდებოდეს პატივით პირველად სხვა პატრიარქებს შორის, ამის მსგავსად წმ. IV მსოფლიო კრების მამებმა მიანიჭეს ტოლი და ზუსტად ისეთივე პრივილეგიები ახალი რომის წმიდა საყდარსაც, ანუ კონსტანტინოპოლს“**. I, III, IV მსოფლიო კრებები და კონსტანტინოპოლის 867 და 869 წ.წ. კრებები პაპის „პირველობის“ შესახებ სამიტროპოლიტო სისტემა ძველი ეკლესიის მოწყობისა, რომელიც სავსებით არ იყო მონარქიული, შესანიშნავად არის გადმოცემული I მსოფლიო კრების (325წ.) მე-6 კანონში. მასში წერია: **„ძველივე წესნი იპყრობოდეს ადგილსა შინა ეგვიტისა და ლუბიისა და ხუთქალაქისათა, რადთა ეპისკოპოსსა ალექსანდრიისასა აქუნდეს ამათ ყოველთა ზედა კელმწიფებად, ვინადთგან პრომაელისაცა ეპისკოპოსისად ესე არს ჩუეულებად, ეგრეთვე ანტიოქელისად და სხუათაცა სამთავროთა შინა რომელთამე ეკლესიათა უწარჩინებულესობად დაცკულ არს“**. ეს კანონი მოწმობს, რომ რომის, ალექსანდრიისა და ანტიოქიის ეპისკოპოსები „ერთმანეთის ტოლებად ითვლებოდნენ“ (εθεωρούντο ισοί προς ἀλλήλους). ეს კანონი ამბობს, რომ რომის ეპისკოპოსს იგივე ხელმწიფება აქვს, რაც სხვა დანარჩენს, მაგ. ალექსანდრიისას, ანუ ეკლესიას არ ჰქონდა

მონარქისტული მოწყობა. ეს კანონი ასევე ხსნის, რომ ეპისკოპოსები არ იმყოფებოდნენ რომელიმე ერთი ეპისკოპოსის, არც ეკლესიები რომელიმე ერთი ეკლესიის დაქვემდებარებაში. ყველა ეპისკოპოსი და ეკლესია იყო იურიდიულად ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი.

აღვნიშნავთ, რომ III მსოფლიო კრებამ არა მარტო არ შეცვალა, არამედ კიდევ უფრო განამტკიცა და კიდევ უფრო მაღალ ხარისხში აიყვანა ის განაწესი, რომელიც არსებობდა მანამდე ეკლესიის მართვის სფეროში. **„მან კატეგორიულად აკრძალა საეპისკოპოსო საყდრების მხრიდან უფლება მართვის საშუალებებისა და ეპარქიების შეცვლისა, რომელიც მიღებულია თავიდანვე და შემდგომ. დაამტკიცა, რომ მისთვის ყოველთვის უცხო იყო მონარქიული პირველობა, ერთი საეპისკოპოსო კათედრის ძალაუფლება მეორეზე“** (ხრიზოსტომოს პაპადოპულოსი, „III მსოფლიო კრება და რომის ეპისკოპოსის პირველობა. პასუხი პიუს XI-ის ენციკლიკა «Lux Veritatis»-ზე“ («H Γ' Οικουμενική Σύνοδος και το πρωτεϊον του Επισκόπου Ρώμης. Απόκρισις εις την εγκύκλιον του Πίου ΙΑ' „Lux Veritatis“, εν Αθήναις 1932» ათენი 1932წ. გვ. 71). მოციქულთა 34-ე კანონი ყველა ეთნიკურ ოლქს თავისთავადობას ანიჭებს.

კონსტანტინოპოლის 869წ. კრებაზეც, პაპების რაიმე უარყოფის გარეშე, დაადასტურეს დამოუკიდებლობა, ავტონომია და თანასწორობა ხუთი საპატრიარქო საყდრისა (პენტაპოლისის თეორია და ტრადიცია). უარყოფილ იქნა ნებისმიერი იდეა მონარქიული პირველობისა თუ რომის კათედრის ძალაუფლების პირველობისა. მსოფლიო კრებები (I, II, IV), როდესაც საუბარი იყო რომის ეკლესიის „პატივის უპირატესობაზე“, არ ამბობდნენ, რომ იგი დადგენილია „ღვთიური კანონით“ ან „ღვთიური განწყობით, არამედ ეს განისაზღვრა იქიდან გამომდინარე, რომ რომი იყო იმპერიის ძველი დედაქალაქი. ამასთან, კონსტანტინოპოლის საყდარიც ისევე იქნა დაფასებულ, რადგან „იგი იყო ახალი რომის დედაქალაქი“.

ამჟამადაც (აღმოსავლეთის) მართლმადიდებელი ეკლესია განუხრელად აგრძელებს ერთიანი ეკლესიის პირველი ათასწლეულის, მსოფლიო კრებათა პერიოდის გზას, სწავლებასა და ტრადიციებს. ამის შესახებ განცხადებული იყო 1895 წ.-ს კონსტანტინოპოლის კრების პასუხში პაპ ლეონ XIII-ისადმი, იმასთან დაკავშირებით, რომ პაპმა მოუწოდა მართლმადიდებლებს, შეერთებოდნენ რომს ლათინური უნიის დებულებების საფუძველზე. მნიშვნელოვან საპატრიარქო და კრებისთა გზავნილში, რომელიც პაპს გაეგზავნა 1895 წელს, აღნიშნული იყო შემდეგი: **„ყოველი ავტოკეფალური ეკლესია აღმოსავლეთში და დასავლეთში იყო სრულიად დამოუკიდებელი და თვითმმართველობითი შვიდი მსოფლიო საეკლესიო კრებების პერიოდში. აღმოსავლეთის ავტოკეფალური ეკლესიის ეპისკოპოსები, ისევე, როგორც აფრიკის, ესპანეთის, გალიის, გერმანიისა და ბრიტანეთის ეპისკოპოსები, თავიანთი ეკლესიების საქმეებს მართავდნენ რომის ეპისკოპოსის ყოველგვარი ჩარევის გარეშე, რომის ეპისკოპოსიც ასევე იყო კრებებს დაქვემდებარებული და მორჩილი იყო კრებების გადაწყვეტილებებისა. მნიშვნელოვანი საკითხების წამოჭრის დროს „იწვევდნენ მსოფლიო კრებას“, რომელიც იყო „ეკლესიის ერთადერთი უმაღლესი მსაჯული“. ეს იყო ეკლესიის მართვის უძველესი ფორმა. ეპისკოპოსები იყვნენ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელნი და სრულიად თავისუფალნი თავიანთი მმართველობის საზღვრებში, ემორჩილებოდნენ მხოლოდ საეკლესიო გადაწყვეტილებებს, ლებლობდნენ რა კრებებზე სხვა ეპისკოპოსებთან მიმართებით თანაბარ მონაწილეობას (παρεκάθιστο ισοι προς ἀλλήλους)“.** (ამ მეტად მნიშვნელოვანი პასუხის სრული ტექსტი შეგიძლიათ იხილოთ ΙΩ. ΚΑΡΜΠΗ, Τα Δογματικά και Συμβολικά Μνημεία της ὁρθοδόξου Καθολικῆς Εκκλησίας, τόμ. 2ος, Graz-Austria 1968, σελ. 932[1018]- 946α[1032]).

ამგვარად, მსოფლიო კრებებზე განხილული და მინიჭებული პატივისა და ღირსების პირველობა და რიგითობა, რომელმაც ასახვა ჰპოვა დიპტიხში, არ განეკუთვნება ეკლესიის მოწყობის, მისი მოძღვრებისა თუ კანონიკურ საკითხთა რიგს, არამედ ასახავს ეკლესიის ისტორიის ცალკეულ მხარეებს, ადგილობრივი ეკლესიების წარმოშობისა და როლის, მათი ცენტრების პოლიტიკური და ადმინისტრაციული გავლენის ასპექტებს. რომის ღირსების პირველობა პირველ საუკუნეებში განპირობებული იყო ქალაქ რომის, როგორც იმპერიის დედაქალაქის მნიშვნელობითა და გავლენით. შემდგომ პერიოდში კონსტანტინოპოლის, როგორც ახალი რომის, როლის გაძლიერებისა და წინ წამოწევის კვალობაზე, იგი თავისი პატივითა და ღირსებით უთანაბრდება რომს (I მსოფ. კრ. მე-6 კან.; II მსოფ. კრ. მე-3 კან.; IV მსოფ. კრ. 28-ე კან.; VI მსოფ. კრ. 36-ე კან.). უყურადღებოდ არ უნდა დავტოვოთ ისიც, რომ მსოფლიო კრებები, მიაკუთვნებდნენ რა უხუცეს ეპისკოპოსებს ღირსების უპირატესობას და განსაზღვრავდნენ მათ შორის რიგს, საფუძველად იღებდნენ მხოლოდ პოლიტიკურ

მნიშვნელობას იმ ქალაქებისას, სადაც იმყოფებოდნენ უხუცესი იერარქები; ამასთან ერთად აუცილებელია ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული ქალაქებისა და ოლქების სხვაგვარი პოლიტიკური განაწილების შემთხვევაში შესაძლოა, სხვაგვარი ყოფილიყო განაწილება მათი საეპისკოპოსო კათედრების რიგშიც, ისე, რომ, მაგალითად, იერუსალიმის ან ალექსანდრიის ეპისკოპოსს შეძლებოდა დაეკავებინა პირველი ადგილი, რომისას კი – მეორე და ა.შ., იყვნენ რა ერთმანეთის თანასწორი და ამ ადგილის დაკავების უფლების მქონე. რომის ეკლესიის მწვალებლობაში შთავარდნისა და მისი დედა ეკლესიიდან განვარდნის შემდეგ, დროთა განმავლობაში, იგი ამოღებულ იქნა მართლმადიდებელი ეკლესიის დიპტიხიდან, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ თეზისს, რომ დიპტიხში პირველობისა და რიგითობის საკითხი მხოლოდ პირობითად არის გაგებული და არა არსობრივად.

3. დიპტიხის წარმოშობის წინაისტორია

ეკლესიის ისტორია ნათელყოფს, რომ იმ დიპტიხის წინასახე, რომელსაც ჩვენ დღეს ვიყენებთ, ჩამოყალიბდა ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარების შემდეგ და არ არსებობდა პირველ საუკუნეებში (იმპერატორთა გაქრისტიანებამდე). დიპტიხი არსებობდა მხოლოდ აღმოსავლეთ რომის (შემდგომში ბიზანტიის) საზღვრებში მყოფი ეკლესიების საჭიროებისათვის. მაგალითად, დასავლეთის ეკლესიაში იმ დროისათვის დიპტიხი არ იყო ხმარებაში.

დიპტიხი წარმოსდგა ბიზანტიის იმპერიის შიდა საჭიროებიდან, იმპერიაში შემავალი ეკლესიებისათვის. იგი განსაზღვრავდა ეკლესიათა კათედრების მეთაურების რანჟირების წესს, მათ რიგითობას, სახელმწიფოში ეკლესიათა შორის ურთიერთდამოკიდებულებას პატივისა და ღირსების თვალსაზრისით, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული რაიმე დაპირისპირება და ცილობა იმპერიაში შემავალ დამოუკიდებელ ეკლესიათა და მათ მეთაურთა შორის, დავა ეკლესიათა და კათედრების ღირსებისა და პატივის ხარისხთან დაკავშირებით. ამგვარად, დიპტიხის შექმნა განპირობებული იყო იმპერიის ერთიანობისა და დაუსლელლობის საჭიროებით. იმპერიაში შემავალი ავტოკეფალურ ეკლესიათა და კათედრათა მეთაურებს სახელმწიფოში ეკავათ დიდი ადმინისტრაციული თანამდებობები (მსგავსად შუასაუკუნეების სქართველოსა). დიპტიხის შექმნა უპირველესად ამ ეკლესიათა სურვილით იყო გამოწვეული, რათა განესაზღვრათ პატივის ხარისხი ეკლესიათა მეთაურ მღვდელმთავართა შორის, თუ რომელი ეკლესიის მეთაური, ანუ სახელმწიფო მოხელე იდგა პატივით მაღლა სხვა მღვდელმთავარ-მოხელეზე. (ასეთი რანჟირების ტრადიცია საქართველოშიც არსებობდა ცალკეული ოლქებისა და კათედრების პირველ პირებს შორის).

დიპტიხის შედგენას განსაკუთრებული ყურადღება IV საუკუნის შემდეგ მიექცა, კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსის ადგილის განსაზღვრისას. ტრულის კრებაზე განისაზღვრა უკვე V-VI საუკუნეებში არსებული ურთიერთდამოკიდებულება იმპერიის ეკლესიებს შორის – პირველი იყო რომის საყდარი, მეორე – კონსტანტინოპოლისა, მესამე – ალექსანდრიისა, მეოთხე – ანტიოქიისა, მეხუთე – იერუსალიმისა. (დიდი სჯულის კანონი, 1975 წ., გვ 386). იმ პერიოდში იმპერიის შიგნით არსებობდა ასევე კვიპროსის ეკლესია, თუმცა მას არ განესაზღვრა ადგილი იმდროინდელ დიპტიხში. VI-VII საუკუნეებში დიპტიხები იქცნენ ოფიციალურ დოკუმენტებად რომის იმპერიის მთავარი ქალაქების ეპისკოპოსთა შორის პატივის უპირატესობის განსაზღვრისას.

როგორი იყო იმდროინდელი საქართველოს (იბერიის) მიმართება ბიზანტიურ დიპტიხთან? იმ პერიოდში იბერიის სახელმწიფო იმყოფებოდა ბიზანტიის იმპერიის საზღვრებს გარეთ. ამიტომ იბერიის ეკლესიის მეთაური არ იყო და არც შეიძლება ყოფილიყო ბიზანტიის სახელმწიფო მოხელე, და, შესაბამისად, არ არსებობდა მისი იმპერიაში შემავალ სხვა მღვდელმთავრებთან მიმართებაში პატივის განსაზღვრის არანაირი საჭიროება. აქედან გამომდინარე, ცხადია, საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის მეთაური ბიზანტიურ დიპტიხში არ ყოფილა შეტანილი.

VII საუკუნემდე იბერიის ქალაქების ეპისკოპოსები არ იყვნენ შეტანილი ბიზანტიურ დიპტიხში. VII საუკუნის დასაწყისში ჰერაკლე კეისარმა ქვემო იბერიის, ანუ დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა მიწები შეუერთა ბიზანტიის იმპერიას. ამის შემდეგ დაპყრობილი ქალაქების, ფასისისა და პეტრონის ეპისკოპოსები შეყვანილ იქნენ ბიზანტიურ დიპტიხში. V ტრულის კრების კანონებს ხელს აწერენ ფასისისა და პეტრონის ეპისკოპოსები თეოდორე და იოანე (დიდი სჯ კ. გვ, 407). იერუსალიმელი პატრიარქები დოსითეოსი და ხრისანფი წერენ – ლაზიკის ეპარქიაში შემავალი ტრაპეზუნტთან მდებარე ფასისის სამიტროპოლიტოს კონსტანტინოპოლის საპატრიარქო დიპტიხში

ეჭირა 27-ე ადგილი (მიტროპოლიტო მაქსიმე, ქართული ეკლესია . . ., გვ47-48). ანუ, ბიზანტიურ დიპტიხში შეტანილი იყო ბიზანტიის ქართული ქალაქების ეპისკოპოსები, ხოლო ბიზანტიის გარეთ მყოფი ქალაქებისა – არა. ბიზანტიის იმპერიის საჭიროებისათვის შედგენილ დიპტიხში იბერიის ავტოკეფალური ეკლესიის წარმომადგენელთა მოუხსენებლობა იმის ნიშანი კი არ არის, რომ ასეთი ავტოკეფალური და გავლენიანი ეკლესია არ არსებობდა, არამედ იმისა, რომ ასეთი ეკლესია არსებობდა, მაგრამ არ ექვემდებარებოდა ბიზანტიასა და კონსტანტინოპოლს.

კონსტანტინოპოლის დიპტიხში ამა თუ იმ ეკლესიის შეტანის საკითხი XVI საუკუნემდე ოთხი ადმოსავლელი პატრიარქის პრეროგატივა იყო (Вклад Вселенского Патриархата по разработку темы „Диптихий“, 1981). მართალია XVI საუკუნეში რუსეთის საპატრიარქოს დაარსების შემდეგ მოსკოვის პატრიარქს ნება მიეცა დიპტიხში და თათბირებზე მდგარიყო იერუსალიმის საპატრიარქოს შემდეგ, რაც ასახავდა იმდროინდელ პოლიტიკურ ვითარებას მსოფლიოში, მაგრამ, მალევე, როდესაც რუსეთში საპატრიარქო მმართველობის ნაცვლად შემოიღეს სინოღიალური მმართველობა, ყველა ადმოსავლეთის ადგილობრივი ეკლესიის დიპტიხში მოიხსენიებოდა ოთხი ადმოსავლელი პატრიარქი (Исследование Святейшей Церкви Элладской - „Диптихи в православной церкви“, 1982).

ადმოსავლეთის დიპტიხებში არ იყო შეტანილი ბულგარეთის არქიეპისკოპოსი, როცა მას 1234 წელს კონსტანტინოპოლმა პატრიარქის ტიტული მიანიჭა, დიპტიხში არ იყვნენ შეტანილნი, აგრეთვე, ავტოკეფალური ეპისკოპოსები არქიდისა, კვიპროსისა, იბერიისა და პეკიისა (Вклад Вселенского Патриархата по разработку темы „Диптихий“, 1981). XIX საუკუნის შუა წლებამდე დიპტიხში იხსენიებოდა მხოლოდ ოთხი ადმოსავლელი პატრიარქი. ამავე საუკუნეში, და შემდგომ, ახალი ავტოკეფალური ეკლესიების (ელადის, სერბეთის, რუმინეთის, პოლონეთისა და ალბანეთის) დაარსების შემდეგ კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქმა დაავალდებულა, დიპტიხში მოეხსენიებინათ ოთხი პატრიარქის გარდა სხვა ეპისკოპოსები და ეკლესიები.

4. საქართველოს ადგილი დიპტიხში. ქართული წყაროები

ადმოსავლეთის ეკლესია განსაკუთრებით სავალდებულოდ ხდიდა სამოქალაქო-საერო დაყოფის ასახვას საეკლესიოში. ამიტომაც, X-XI საუკუნეებში საქართველოს გაერთიანებასა და რეგიონში წამყვანი როლის დამკვიდრებას მოჰყვა საქართველოს ეკლესიის მთლიანობის აღდგენა და ახალ სიმაღლეზე აყვანა. სამეფოთა გაერთიანების შემდეგ ერთ საპატრიარქოში გაერთიანდნენ ეკლესიებიც და ერთიან ქართულ სახელმწიფოში წარმოიქმნა ერთიანი ეკლესია საქართველოს საპატრიარქოს მმართველობით. მასში შევიდნენ აფხაზეთისა და ქართლის საკათალიკოსოები. ამათ გარდა იგი ასევე შეიცავდა საქართველოს გავლენის სფეროში შემავალ ჩრდილო კავკასიის ქრისტიანებს, აგრეთვე სომხეთისა და ყოფილი ალბანეთის მართლმადიდებელ მოსახლეობას. XV საუკუნეში ჩრდილო კავკასიის ადმოსავლეთით შეიქმნა ხუნძეთის საკათალიკოსო, რომელიც საქართველოს საპატრიარქოში შედიოდა. საქართველოს საპატრიარქოში შევიდა სომხეთის ქართული სამიტროპოლიტო, რომელიც ისტორიული საქართველოს საზღვრებს გარეთ მდებარეობდა – სომხეთის (ანისის) ყოფილ სამეფოში. იქ ღღემდე შემორჩენილია ქართული ტაძრების ნაშთები და კულტურის ძეგლები. საქართველოს საპატრიარქოს შექმნის შემდეგ საკათალიკოსოები არ გაუქმებულან, ისინი არსებობას განაგრძობდნენ ისე, როგორც ბიზანტიურ საპატრიარქოში არსებობდნენ სამიტროპოლიტოები. როგორც წესი, პატრიარქი იმავე დროს მცხეთის, ანუ ქართლის კათალიკოსიც იყო, მას სვეტიცხოვლის პატრიარქიც ეწოდებოდა სასაყდრო ტაძრის მიხედვით. საქართველოს საპატრიარქო მოიცავდა არა მარტო კავკასიის მართლმადიდებლობას, არამედ ძალზე სცილდებოდა ჩრდილოეთითა და სამხრეთით თავის საზღვრებს.

საქართველოს საპატრიარქოს წარმოშობამდე არ არსებობდა ქართული ეკლესიის ღირსების ბიზანტიურ იერარქების ღირსებასთან შედარების საჭიროება, ამიტომაც, სავარაუდოდ, ქართულ ეკლესიაში დიპტიხი არ გამოიყენებოდა. ვითარება შეიცვალა საპატრიარქოს შექმნის შემდეგ. ახალმა მდგომარეობამ წარმოშვა საკითხი, თუ პატრიარქთა რიგში რომელ ადგილას უნდა დაეყენებინათ, ანდა რომელი პატრიარქის შემდეგ უნდა ეხსენებინათ ახალი პატრიარქი – ქართული ეკლესიის მეთაური. მართალია იმ დროს ზოგიერთი არამართლმადიდებლური ეკლესიის მეთაურს ჰქონდა პატრიარქის ტიტული, მაგრამ მსოფლიო მართლმადიდებლურ ეკლესიაში მხოლოდ ხუთი პატრიარქი იხსენიებოდა, რასაც მსოფლიო საეკლესიო კრებებაც ადასტურებდნენ. საქართველოს როლისა და გავლენის

გაძლიერების კვალობაზე, დღის წესრიგში დადგა არსებული პატრიარქების რიგში საქართველოს პატრიარქის რიგითობის განსაზღვრის საკითხი. ეს საკითხი განხილულ იქნა და დაადგინეს, რომ ახალი ქართველი პატრიარქი იყო რიგით მეექვსე პატრიარქი – რომის, კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსალიმის პატრიარქების შემდეგ.

ქართული დიპტიხის შედგენისას გათვალისწინებულ იქნა II მსოფლიო კრების მე-3, ქალკედონის 28-ე, ტრულის 36-ე კანონები და მიიღო ასეთი სახე: 1. რომის საყდარი; 2. კონსტანტინოპოლის საყდარი; 3. ალექსანდრიის საყდარი; 4. ანტიოქიის საყდარი; 5. იერუსალიმის საყდარი; 6. მცხეთის (სვეტიცხოვლის) საყდარი.

ასე შედგა ქართული ეკლესიის დიპტიხი. ეს დიპტიხი უკვე არსებობდა რომის ეკლესიის განხეთქილებაში გასვლისა და ანათემაში გადაცემამდე. ამის შემდეგ ქართული დიპტიხი უცვლელად გადადიოდა საბუთიდან საბუთში. დიპტიხში ქართველ პატრიარქს VI ადგილზე XI საუკუნის დასაწყისშივე რომ აყენებდნენ, ეს შემდეგიდან ჩანს: საქართველოს საპატრიარქო შეიქმნა 1054 წლის განხეთქილებამდე. ამის შემდეგ ქართული ეკლესია მარად მართლმადიდებელთა დიდი ოჯახის წევრი იყო, ამიტომაც გაყოფის შემდგომ, ისტორიული და იმ ეპოქისეული საზომებით არც თუ დიდი ხნის შემდეგ, ქართულ საბუთებში რომის პაპი აღარ იხსენიებოდა მართლმადიდებლობასთან და მართლმადიდებელ პატრიარქებთან კავშირში, თუმცა საბუთებს მეტი ტრადიციულობა და ინერცია გააჩნდათ. ქართული ეკლესიის ძველ დიპტიხში რომის პაპის სხვა აღმოსავლელი პატრიარქების გვერდით დაყენება მიუთითებს იმაზე, რომ ქართული ეკლესიის დიპტიხი შედგენილია საეკლესიო განხეთქილებამდე, ხოლო შემდგომი საუკუნეების საბუთებში დიპტიხის შეუცვლელად გადატანა მიუთითებს საეკლესიო ტრადიციულობაზე, რომელიც განსაკუთრებით დაცული იყო ქართულ ეკლესიაში. ამის შედეგია ის, რომ დიპტიხის ცნებას უფრო მეტი ინერციულობა აღმოაჩნდა, ვიდრე ეკლესიოლოგიური რიგის საკითხებს, რაც არ უნდა იწვევდეს გაუგებრობას 1054 წლის განხეთქილების მიმართ საქართველოს ეკლესიის დამოკიდებულებასთან დაკავშირებით.

საქართველოს საპატრიარქოს დაარსებიდან მცირე ხნის შემდეგ, 1057 წელს მეფე ბაგრატ IV-ის შეწირულების სიგელს შიომღვიმისადმი აქვს ქართული ეკლესიის მეთაურის მინაწერი, რომლის თანახმადაც ის დგას VI ადგილზე მსოფლიოს ხუთი პატრიარქის შემდეგ. ვინც ეს სიგელი დაარღვიოსო, წერს იგი - „... კრულმცა არს . . . ხუთთა პატრიარქთა ჯუარითა . . . და ჩემ გლახაკისაცა ჯუარითა“ (სამართლის ძეგლები, II, ვ. 28).

1245-1250 წლების დაწერილ სიგელს შიომღვიმისადმი აქვს მინაწერი „... ხუთთა პატრიარქთა ჯვარითა, წმიდისა სამოციქულოისა კათოლიკე ეკლესიისა მადლითა და რაოდენნი მას შინა წმიდანი ქართლისა კათალიკოზნი სხდომილ არიან და დასხდებიან მათ ყოველთა ჯუარითა“ (სამართლის ძეგლები, II, ვ. 40-41). წმიდა კათოლიკე სამოციქულო ეკლესია იყო ქართული ეკლესიის სახელწოდება და ყოველთვის ამ ფორმით მოიხსენიებოდა ის. ეს სიგელიც ხუთი მსოფლიო საპატრიარქო საყდრის შემდეგ ქართულ ეკლესიას ასახელებს.

1259 წლის რკონის მონასტრისადმი შეწირულობის სიგელს ამტკიცებს საქართველოს ეკლესიის მეთაური - „... ჩუენცა, გლახაკნი, ქრისტეს მიერ, შემდგომად ხუთთა პატრიარქთა და უპირველესს მათთა. . . სუეტიცხოვლის მეექუსისა პატრიარქისა და ქრისტეს მიერ ყოვლისა საქართველოს კათალიკოზნი ნიკოლოზი ვწერ და ვამტკიცებ. . .“ (სამართლის ძეგლები, II, ვ. 66). ამ დოკუმენტიდან ჩანს, რომ ქართული ეკლესიის მეთაურს დიპტიხში პატრიარქთა რიგში VI ადგილი უჭირავს, მაგრამ მას თავისი ღირსება არც ერთი პატრიარქის ღირსებაზე ნაკლებად არ მიაჩნია, რაც სავსებით შეესაბამება ეკლესიის სწავლებასა და ტრადიციას ღირსებისა და პატივის საკითხთან დაკავშირებით.

ქართული ეკლესიის მეთაურის მე-6 ადგილზე მოხსენიებას ქართულ ეკლესიაში ჰქონდა ისტორიულ-ტრადიციული მნიშვნელობა და ისევე შეუცვლელად ითვლებოდა, როგორც საეკლესიო კრებათა კანონები. დიპტიხის ინერციულობას ესეც განაპირობებდა.

5. საქართველოს ადგილი დიპტიხში. უცხოური წყაროები

როგორც აღვნიშნეთ, მართლმადიდებელი ეკლესიის დიპტიხი, მსოფლიო კრებების ეპოქების შემდეგ, – თუ შეიძლება ასე ითქვას: „დე იურე“ – უცვლელად გადადიოდა საუკუნეებიდან

საუკუნეებში, რაც განპირობებული იყო იმით, რომ დედა ეკლესია ცდილობდა უცვლელად დაეცვა მსოფლიო კრების განჩინებანი. მაგრამ „დე ფაქტო“ მასში მაინც შედიოდა ცვლილებები. X-XI საუკუნეებიდან მოყოლებული ერთიანი საქართველოს საპატრიარქო ეკლესია იმკვიდრებს ადგილს მართლმადიდებლურ სამყაროში, როგორც დიდი გავლენის მქონე სახელმწიფოს გავლენიანი ეკლესია, რაც აუცილებლად გამოიწვევდა მისი ადგილის განსაზღვრას დიპტიხში. ის, რომ ქართულ წყაროებში ეს ადგილი განსაზღვრულია ხუთი აღმოსავლელი პატრიარქის გვერდით, VI ადგილზე, არ შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ლოკალურ, ქართულ მოვლენად, ვინაიდან ეკლესიის სულიერი და კანონიკური ერთობა არ იძლევა ასეთი თვითნებობის საშუალებას. ამიტომ საგულისხმო იქნებოდა ამ მოვლენის შესაბამისი პარალელის მოძიება უცხოურ წყაროებში. მართლაც, ასეთი საერთაშორისო და სარწმუნო ცნობები არსებობს, რაც ადასტურებს იმას, რომ დიპტიხში ქართული ეკლესიის VI ადგილი თვითგამოცხადებული ფაქტი და თვითადიარება კი არ იყო, არამედ მსოფლიო მართლმადიდებლობის მიერ აღიარებული ფაქტი (ასე ვთქვათ - „დე ფაქტო“), რაც XV საუკუნისთვის უკვე დამკვიდრებულ ტრადიციად გვევლინება. ამ დასკვნის გაკეთების საფუძველს გვაძლევს ვატიკანის საცავებში დაცული ცნობები „ფერარა-ფლორენციის“ კრებასთან დაკავშირებით.

მართლაც, დიპტიხში რიგითობის შესახებ და ამ რიგში საქართველოს ადგილის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის 1437-38 წელს შემდგარი ფერარა-ფლორენციის კრების ოქმები და ცნობები ამ კრების შესახებ. დიპტიხის საკითხის განსაზღვრისათვის მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ამ კრებას ესწრებოდა ხუთივე საპატრიარქოს, რომის, კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსალიმის და იმ დროს არსებული ყველა ავტოკეფალური ეკლესიის წარმომადგენელი. ეს კრება, რომელიც მოწვეული იყო რომის „ეკლესიის“ ინიციატივით და მიზნად ისახავდა უნიის საყოველთაო გავრცელებას მართლმადიდებლურ სამყაროში, არაკანონიკურად არის მიჩნეული და იქცა განდგომილებისა და ქრისტეს ეკლესიის ღალატის კრებად რიგი ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების, განსაკუთრებით კონსტანტინოპოლის ეკლესიის წარმომადგენელთა მხრიდან, რომლებმაც პოლიტიკური მოსაზრებებიდან და თურქ დამპყრობელთა რეალური საფრთხის არსებობიდან გამომდინარე, უღალატეს ეკლესიის სწავლებასა და სიწმინდეს და ხელი მოაწერეს უნიას. შედეგად, სულ რამოდენიმე წელიწადში, ღმრთის ღალატის გამო ღმრთის წყალობას მოკლებული კონსტანტინოპოლი სტამბულად იქცა, - თურქებმა დაიპყრეს კონსტანტინოპოლი და გაანადგურეს ბიზანტიის იმპერია. თუმცა ღმრთის რისხვა წყალობასაც შეიცავდა, - კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსა და სხვა ადგილობრივი ეკლესიების უნია რომის ეკლესიასთან არ შედგა, - თურქმა დამპყრობლებმა კონსტანტინოპოლისა და ბიზანტიის იმპერიაში არსებული სხვა ეკლესიები ჩამოაშორეს რომს (პოლიტიკური მოსაზრებებით), კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს არსებობის საშუალება მისცეს, და აღსანიშნავია, რომ კონსტანტინოპოლის შემდგომი დროის პატრიარქებიდან მრავალმა კეთილად იღვაწა ქრისტეს ეკლესიის სიწმინდისა და ერთობისათვის, რასაც ვერ ვიტყვით მის ბოლოდროინდელ პატრიარქებზე.

მართალია, სავსებით სამართლიანად, ფერარა-ფლორენციის კრება არ არის მიჩნეული მსოფლიო კრებად, მით უმეტეს, რომ მის ოქმებს ხელი არ მოაწერეს საქართველოს წამომადგენლებმა, რაც, თავის თავად, მეტად ღირსშესანიშნავი მოვლენაა, მაგრამ განსახილველ თემასთან, დიპტიხის საკითხთან დაკავშირებით ის სავსებით ლეგიტიმურია და იძლევა მნიშვნელოვან და ამომწურავ ცნობებს. ამ ცნობების სარწმუნოება და მისგან გამომდინარე დასკვნებიც არავითარ ეჭვს არ იწვევს. კერძოდ, ამ კრების ამსახველი დოკუმენტები და ცნობები, რომლებიც დაცულია ვატიკანის საცავებში, თვალნათლივ აჩვენებენ, რომ საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლებს იმ კრების დიპტიხში ეკავა რიგით VI ადგილი იერუსალიმის საპატრიარქოს შემდეგ, რაც, როგორც ეს ფერარა-ფლორენციის კრების მასალებიდან ირკვევა, იყო მართლმადიდებელ ეკლესიაში საყოველთაოდ აღიარებული და ტრადიციად დამკვიდრებული მოვლენა.

დასახელებული კრების მასალები პასუხს სცემენ კითხვას: ცნობდნენ თუ არა მსოფლიოს სხვა პატრიარქები საქართველოს ეკლესიაში უკვე ტრადიციად დამკვიდრებულ VI ადგილს მსოფლიო დიპტიხში? აღიარებდნენ თუ არა ისინი ქართველი მამამთავრის საყდარს მეექვსე ადგილზე? ჩვენ დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ როგორც რომის პაპები (ამასაც განსახილველი საკითხისათვის გარკვეული ლეგიტიმური მნიშვნელობა აქვს), ისე აღმოსავლეთის ოთხი პატრიარქი ცნობდა იბერიის ეკლესიის მეექვსე ადგილს იერუსალიმის საპატრიარქოს შემდეგ. სწორედ ამას მიუთითებს ფერარა-ფლორენციის კრების დიპტიხი და მის დამსწრე ეკლესიათა წარმომადგენელთა განცხადების შესახებ

ცნობები. საზოგადოდ უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ წარმომადგენლობით კრებებზე ძალიან დიდი ყურადღება ექცეოდა ეკლესიათა (კათედრების) ადგილების განაწილებას.

ფერარო-ფლორენციის კრებაზე დაცული იყო წინა მსოფლიო კრებათა კანონები ეკლესიათა განლაგების შესახებ. XV საუკუნის 30 წლების ამ კრების დიპტიხი შემდეგი იყო: - რომის ეკლესია (რასაც საქართველოს ეკლესია იმ დროისთვის უკვე კარგა ხანი იყო, რაც აღარ აღიარებდა, და ამის დასტური ისიც იყო, რომ საქართველოს წარმომადგენლებმა ხელი არ მოაწერეს იმ კრებაზე რომის „ეკლესიასთან“ უნიას), კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქო, ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმის საპატრიარქოები, იერუსალიმის შემდეგ VI ადგილზე იდგა იბერიის ეკლესია. ეს იყო დიპტიხი, რომელიც მთელ მსოფლიოს შეეხებოდა. რაც შეეხება მართლმადიდებლურ სამყაროს, აქ უკვე საქართველოს ეკლესიას ეკავა V ადგილი კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსალიმის საპატრიარქოების შემდეგ. (თუ საუბარი იქნება პენტაპოლისის ტრადიციის აღდგენაზე, მაშინ პენტაპოლისის პრინციპი სწორედ ამ დასახელებული თანმიმდევრობით უნდა აღდგეს).

ახლა ვნახოთ, თუ როგორ გვაწვდიან ფერარო-ფლორენციის კრების მასალები საქართველოს დიპტიხში VI ადგილის შესახებ ცნობებს. ვატიკანის არქივებში დაცულ ცნობებს, მათ შორის ფერარო-ფლორენციის კრებასთან დაკავშირებულ მასალებს, აღწერს და გადმოსცემს – დედნებსა და მათ თარგმანებს – ილია ტაბალუა თავის სამტომეულში „საქართველო ევროპის წიგნსაცავებსა და არქივებში“. მას მოჰყავს ცნობა იმის შესახებ, რომ ხსენებულ ფერარო-ფლორენციის კრებას აღმოსავლელ პატრიარქებთან და სხვა ეკლესიათა წარმომადგენლებთან ერთად „თანაბარი უფლებით ესწრებოდა იბერიის მიტროპოლიტი“ (Heinris A., Op. cit., p. 13).

„ფერარო-ფლორენციის კრების შესახებ დიდძალი ლიტერატურა და მასალა არსებობს – გამოქვეყნებული და გამოუქვეყნებელი. პირველ რიგში დავასახელებთ თვით კრების „აქტებს“ (Acta Sacri oecumenici Concilii ab Horatio Iustiniano. Bibliotheca Vaticane Custode Primato Collecta, Romae, MDCXXXVIII, pp. 68-73, 333), სადაც ლაპარაკია ამ კრების მუშაობაში საქართველოს წარმომადგენლების მონაწილეობაზე. საქართველოს (იბერიის) წარმომადგენლები „აქტებში“ სამჯერ არიან მოხსენიებული: ერთხელ „იბერიის მეფის წარმომადგენელი იბერიის მიტროპოლიტი“ (გვ.72), ხოლო ორჯერ „იბერიის მეფის ელჩი“ (გვ. 73, 333). საინტერესოა ის ფაქტი, რომ იბერიის მიტროპოლიტი კრების მონაწილეთა წინა რიგებში მჯდარა: „პირველი კარდინალის პირდაპირ იდგა პატრიარქის სავარძელი. . . პატრიარქის სავარძელის შემდეგ ოთხ სკამზე განლაგებულნი იყვნენ: ჰერაკლიის არქიეპისკოპოსი. . . ანტიოქიის პატრიარქის მიერ გამოგზავნილი – ეფესის არქიეპისკოპოსი, იერუსალიმის პატრიარქის წარმომადგენელი მენეზიის არქიეპისკოპოსი და იბერიის მეფის წარმომადგენელი – იბერიის მიტროპოლიტი“ (ი. ტაბალუა, „საქ. . .“, ტ I, გვ 101-102).

ამგვარად, იბერიის მიტროპოლიტი იჯდა მართლმადიდებელთა მხარეს მეხუთე ადგილზე კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსალიმის წამომადგენლების შემდეგ. ვატიკანის არქივის დოკუმენტები, მათი ქართული თარგმანები მოყვანილია ი. ტაბალუას დასახელებულ წიგნებში. ამავე ნაშრომში მოყვანილია ქართულ თარგმანთა შესაბამის დოკუმენტთა ორიგინალები, საიდანაც არის შესრულებული თარგმანები. ასე, ქვემოთ მოყვანილი დოკუმენტის ორიგინალი მოცემულია ი. ტაბალუას დასახელებულ ნაშრომში, ტ.1, გვ 280-281

* * *

დოკუმენტი № 19

ქართველთა მონაწილეობა ფერარო-ფლორენციის კრებაზე

ნაწყვეტი კრების ოქმიდან
(Acta Sacri. . . pp. 68-73)

„საუბარი და კამათი ლათინებსა და ბერძნებს შორის ფლორენციის მსოფლიო საეკლესიო კრებაზე. სამოციქულო კონსისტორიის რომის პატრიციასა და ადვოკატს ანდრეა დი სანტა კროცეს საუბარი ლუდოვიკო პონტანოსთან, ჩანაწერი დიალოგის სახით.

ლუდოვიკო: კრების დროს სად იჯდა ბერძენთა იმპერატორი“

ანდრეა: ცენტრიდან მარცხნივ იდგა ტახტი ისეთივე, როგორც იმპერატორის კათედრა იყო. მისგან მარჯვნივ სკამზე იჯდა იმპერატორის ძმა დიმიტრი – მორეის მთავარი

ლუდოვიკო: განაგრძე საუბარი სასულიერო პირების განლაგების შესახებ.

ანდრეა: პირველი კარდინალის პირდაპირ იდგა პატრიარქის სავარძელი. პატრიარქი შეუძლოდ ყოფნის გამო იმ დღეს კრებას ვერ ესწრებოდა. . .

პატრიარქის შემდეგ ოთხ სკამზე განლაგებულნი იყვნენ: ჰერაკლიის არქიეპისკოპოსი (რომელსაც ალექსანდრიის პატრიარქის კანონიერი მანდატი ჰქონდა და მისი ადგილი ეკავა), ანტიოქიის პატრიარქის მიერ გამოგზავნილი – ეფესიის არქიეპისკოპოსი, იერუსალიმის პატრიარქის წარმომადგენელი – მენეზიის არქიეპისკოპოსი და იბერიის მეფის წარმომადგენელი – იბერიის მიტროპოლიტი.

ამის შემდეგ ისხდნენ. . .“

* * *

იმავე დოკუმენტის მიხედვით ცხადი ხდება, რომ არა მარტო ეკლესიათა წარმომადგენელი სასულიერო პირები ისხდნენ „წესის“, ანუ დიპტიხის მიხედვით, არამედ საერო პირებიც ასევე წესის მიხედვით ისხდნენ. ამგვარად, დიპტიხს, განლაგების რიგს და „წესს“ დიდი ყურადღება ექცეოდა და მკაცრად იყო დაცული.

ფერარა-ფლორენციის მასალები გვიჩვენებენ, რომ ქართული ეკლესიის მეექვსე ადგილი კრებაზე, ხოლო მართლმადიდებელთა რიგში V ადგილი, აღიარებული და ცნობილი იყო როგორც რომის პაპის, ასევე მსოფლიო (კონსტანტინოპოლის) პატრიარქის და სხვა აღმოსავლეთის პატრიარქების მიერ, წინააღმდეგ შემთხვევაში ისეთ ფართო წარმომადგენლობით კრებაზე, როგორც იყო ფერერა-ფლორენციის კრება, რომისა და აღმოსავლეთის ქრისტიანები ერთმანეთთან უთანხმოებაში არ შევიდოდნენ იბერიის ეკლესიის ადგილის ძიებისათვის. იბერიის ადგილი დიპტიხში უკვე რამდენიმე საუკუნის მანძილზე ცნობილი იყო, ამიტომ მან ამ ე.წ. „მსოფლიო“ კრებაზე თავისი კუთვნილი ადგილი დაიკავა, – საერთო რიგში VI, ხოლო მართლმადიდებელთა რიგში – V ადგილი.

* * *

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დიპტიქის თემა უშუალო კავშირშია ავტოკეფალიის საკითხთან, რომელიც საქართველომ მოიპოვა V საუკუნეში, რაც მეტყველებს ეკლესიის სიძველესა და ავტორიტეტზე.

ავტოკეფალიის საკითხი

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ერთ-ერთი უძველესია ქრისტიანულ სამყაროში. მრავალი ისტორიული წყარო და საეკლესიო გადმოცემა ადასტურებს, რომ საქართველოს სხვადასხვა მხარეში ქრისტიანობა პირველ საუკუნეში იქადაგეს მოციქულებმა ანდრეა პირველწოდებულმა, სიმონ კანანელმა და მატათამ. მის უძველეს ავტორიტეტზე თუნდაც ის მეტყველებს, რომ 325 წლის ნიკეის პირველ მსოფლიო კრებას ესწრებოდნენ ბიჭვინთის ეპისკოპოსი სტრატოფილე და ტრაპეზუნის ეპისკოპოსი დამნუსი.

მოციქულთა სწორის, ქალწულ ნინოს მიერ მოქცეული იქნა ქართლი, მისი მეფე, მირიანი და დედოფალი ნანა. 326 წელს საქართველოში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. მირიან მეფის თხოვნით საქართველოში პირველი სასულიერო პირებს – იოანე ეპისკოპოსს ორ მღვდელთან და სამ დიაკონთან ერთად – აგზავნის წმ. კონსტანტინე დიდი. ნიშნად მეგობრობისა და სულიერი კავშირისა, იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა ახლად გაქრისტიანებულ საქართველოს გამოუგზავნა ერთ-ერთი ლურსმანი, რომლითაც ვვარცმული იყო უფალი ჩვენი იესო ქრისტე. ეს სამსჭვავლი დღესაც ინახება საქართველოს ეკლესიაში, როგორც უღუდესი სიწმინდე.

საქართველოს ეკლესია V საუკუნემდე შედიოდა ანტიოქიის იურისდიქციაში. წმ. მეფე ვახტანგ გორგასლის დროს საქართველო ხდება საკათალიკოსო ქვეყანა. ზეგარდმო კურთხევით წმ. მეფე ვახტანგმა პეტრე მღვდელი და სამოელ მონაზონი წარგზავნა ანტიოქიაში და ანტიოქიელმა პატრიარქმა აკურთხა პეტრე ქართული ეკლესიის კათალიკოსად, სამოელი და კიდევ თორმეტი პირი კი ეპისკოპოსებად. წმ. მეფე ვახტანგმა ახალი საკათალიკოსო ტაძარიც აავო მცხეთას. ამ

მნიშვნელოვანმა მოვლენამ შეამზადა ნიადაგი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის (თვითმწყობისათვის).

ქართული, ბერძნული და უცხოური წყაროები აღიარებენ, რომ ქართულმა ეკლესიამ ავტოკეფალია მიიღო V საუკუნის მეორე ნახევარში (ზოგიერთი წყაროს მიხედვით 468 წ.), ანტიოქიის პატრიარქ პეტრე ფულონის დროს. აღნიშნულ ფაქტს საუკუნეების განმავლობაში სცნობდა მსოფლიოს მრავალი ეკლესია, გარდა კონსტანტინოპოლისა და ზოგიერთი სხვა ეკლესიისა. კონსტანტინოპოლის ეკლესია არ აღიარებდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ფაქტს იმ მიზეზით, რომ მას ჰქონდა პირველობის პრეტენზია და თვლიდა, რომ საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალია უნდა მიეღო მისგან, და არა ანტიოქიის ეკლესიისაგან. ამიტომ არც ავტოკეფალიის იძულებით გაუქმებამდე (1811 წ.) და არც ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ (1917 წ.) იგი არ აღიარებდა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობას.

მაგრამ გასული საუკუნის 70-იან, 80-იან წლებში ხანგრძლივი, 15 წლიანი მოლაპარაკებების შემდეგ, მეცნიერული დასაბუთებისა და შესაბამისი მტკიცებების წარმოდგენის შემდეგ, ჩვენი პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ს უშუალო მონაწილეობის, მოწადინებით, ღვაწლითა და პრინციპულ პოზიციაზე შეურყევლად დგომის წყალობით, რაც აუცილებელი იყო ისტორიული სამართლიანობის აღსადგენად, 1990 წელს მსოფლო საპატრიარქო ცენტრმა მიიღო ჩვენი ეკლესიისთვის ისტორიული დადგენილება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობისა და მტკიცებისა და ეკლესიის მეთაურის საპატრიარქო ტიტულის ცნობის შესახებ. ეს დადგენილება ჩვენ უნდა გავივით, არა როგორც კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მიერ ავტოკეფალიის დამტკიცება, არამედ V საუკუნეში მიღებული ავტოკეფალიის ცნობა.

ეს დადგენილება გაფორმდა სიგელის სახით: „საქართველოს უწმინდესი მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობისა და მტკიცების სიგელი“ და გადაეცა ჩვენს ეკლესიას. მას ხელს აწერს მსოფლიო პატრიარქი დიმიტრიოსი და დათარიღებულია 1990 წლის 25 იანვრით. ამ სიგელში, კერძოდ, აღნიშნულია შემდეგი: *„სინოდის გადაწყვეტილებითა და სულიწმიდით განათლებულნი ვაცხადებთ საქართველოს უწმინდეს ეკლესიას იმავე თვითმმართველი სტრუქტურითა და ორგანიზებით, რაც უძველესი დროიდან გააჩნდა და რაც დამოწმებულია, აგრეთვე, ბალსამონის მიერ, რომელიც წერს: „ . . . ამბობენ, რომ დღეთა მათ შინა უწმინდესისა პატრიარქისა ღვთაებრივი ქალაქისა ანტიოქიისა უფალი პეტრესი, გამოტანილ იქნა სინოდური დადგენილება, რომ იქმნეს თავისუფალი და ავტოკეფალური ეკლესია იბერიისა (იხ. Γ. Α. Παλαη – Μ. Ποτλη, Συσεγχα των θεων Ἱερων καπονοιν, Ἀθηνησιν 1852, τομ. Β. σελ. 172). მივიჩნევთ, რომ იგი ჩართულია და არის ძმურ მართლმადიდებელ ეკლესიათა პლეადაში და ვადასტურებთ, ამასთანავე, იმას, რომ იგი სახელდებულია როგორც „წმიდა ავტოკეფალური ეკლესია სრულიად საქართველოისა. ვცნობთ მას როგორც ჩვენს სულიერ დას, რომელიც უფლებამოსილია მართოს და აწარმოოს საქმენი დამოუკიდებლად და ავტოკეფალურად, თანახმად წესისა. . . და ვითარცა თავის უმაღლეს მმართველ ორგანოს, ცნობს საქართველოს ეკლესიის ძველდამთავართაგან შემდგარ სინოდს, რომლის თავმჯდომარეც არის ყოველი მთავარეპისკოპოსი მცხეთა-თბილისისა და კათოლიოსი სრულიად საქართველოისა“.* (თეოდორე ბალსამონის ცნობა შეგიძლიათ მოიძიოთ ქართულ წყაროებშიც: გეორგიკა, 8 თბ., 1970, გვ.18). ამ სიგელის გარდა საქართველოს ეკლესიას გადაეცა ასევე საქართველოს უწმინდესი ეკლესიის მეთაურისთვის საპატრიარქო ტიტულის ცნობისა და ბოძების საპატრიარქო სინოდური განჩინება, რომლესაც, ასევე, ხელს აწერს მსოფლიო პატრიარქი დიმიტრიოსი.

კონსტანტინეპოლის საპატრიარქო სიგელში XII საუკუნის დიდი კანონისტის, შემდგომ ანტიოქიის პატრიარქის, თეოდორე ბალსამონის დამოწმება მეტყველებს საყოველთაოდ ცნობილი კანონისტის მიერ მოწოდებული ცნობის სანდოობაზე. ვფიქრობთ, სიგელში შეტანილი ბალსამონისეული ცნობის სანდოობას მკითხველის თვალში ხელს შეუწყობს ამ ცნობის უფრო სრული სახით წარმოდგენა. კერძოდ, საუბრობს რა კონსტანტინოპოლის II მსოფლიო კრების (383წ.) მეორე კანონის განმარტებაზე, ბალსამონი ეხება იბერიის ეკლესიის ავტოკეფალიასაც: *„ნუ გაიკვირვებ, თუ სხვა ეკლესიებსაც იპოვი ავტოკეფალურად, როგორც (მაგალითად) ბულგარეთის ეკლესიას, კვიპროსისა და იბერიისას . . . იბერიის არქიეპისკოპოსი პატრიარქის აიყვანა ანტიოქიის კრების დადგენილებამ. ამბობენ, რომ დღეთა მათ შინა უწმინდესისა პატრიარქისა ღვთაებრივი ქალაქისა ანტიოქიისა უფალი პეტრესი,*

გამოტანილ იქნა სინოდური დადგენილება, რომ იქმნეს თავისუფალი და ავტოკეფალური ეკლესია იბერიისა“.

საქართველოს ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის მიღების ეს თარიღი აღიარებულია ქართულ საერო და საეკლესიო მეცნიერებაში და შესულია საერთაშორისო ენციკლოპედიებში. მაგ., ბროკჰაუზისა და ეფრონის ენციკლოპედიაში ვკითხულობთ: „ვახტანგ გორგასალმა მთელი საქართველო გააერთიანა და დაიწყო ბრძოლა ცეცხლთაყვანისმცემლობის წინააღმდეგ . . მან იმოგზაურა იერუსალიმში, ანტიოქიის პატრიარქისაგან ითხოვა, რომ საქართველოს მღვდელმთავრები არჩული ყოფილიყვნენ ქართველთაგან. . . აქედან იწყება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია“ (ბროკჰაუზისა და ეფრონის ენციკლოპედია, ტ. XVIII, 1893. გვ. 797). მსგავსი ცნობებია დაცული სხვა ენციკლოპედიებშიც, როგორცაა დიდი საბჭოთა ენციკლოპედია, ახალი კათოლიკური ენციკლოპედია (ტ. I, გვ. 1116, 1117, 1966 წ.) და სხვ. მაგალითად, ათენში 1965 წელს გამოცემულ „ზნეობრივ და რელიგიურ ენციკლოპედიაში“ ტერმინ კათოლიკოსის განმარტებისას მითითებულია, რომ ვითარცა ტიტული იგი ბოძებულ იქნა უკვე IV საუკუნეში იმ ეკლესიათა მეთაურებისათვის, რომლებიც მომდინარეობდნენ ანტიოქიის საპატრიარქოდან, ასეთებია: სელევკია-კტისიფონტის (სპარსეთი), სომხეთისა და იბერიის (საქართველოს) ეკლესიები (ტ. VII, გვ. 103).

V საუკუნის ცნობილი ბერძენი ისტორიკოსი პროკოფი კესარიელი ამბობს: „იბერები ქრისტიანები არიან და ამ სარწმუნოების წესებს ყველა იმათზე უკეთ იცავენ, რომელთაც ჩვენ ვიცნობთ“ (გეორგიკა, 1965, ტ. II, გვ. 48).

მხარდაჭერა სხვა ადგილობრივი ეკლესიებიდან

კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურობის ცნობის აქტს წინ უსწრებდა ერთი, ჩვენი აზრით, მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა, რაც მეტყველებს საქართველოს ეკლესიის მხარდაჭერას სხვა ადგილობრივი ეკლესიების მხრიდან. კერძოდ, 1982 წლის 3 ივლისს საქართველოს ეკლესიის პატრიარქმა, მისმა უწმინდესობამ, მისი და საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის სახელით ოფიციალური წერილებით მიმართა ყოველი მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურს. წერილში საკმაოდ ვრცლად და დამაჯერებლად იყო წარმოჩენილი საქართველოს ეკლესიის მოკლე ისტორია. წერილს თან ერთვოდა დოკუმენტებიც. წერილი ეხებოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას, საქართველოს ეკლესიის მეთაურის საპატრიარქო წოდებას და საქართველოს ეკლესიის ადგილს მსოფლიო მართლმადიდებლურ დიპტიხში.

პირველი და მნიშვნელოვანი მხარდაჭერა წარმოაჩინა მისმა უნეტარესობამ, ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პაპმა და პატრიარქმა ნიკოლოზ VI-მ. მან თავისი და ალექსანდრიის ეკლესიის სინოდის სახელით ოფიციალური წერილით მიმართა მსოფლიო საპატრიარქოს, მის ყოვლადუწმინდესობას დიმიტრიოს I-ს, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ იგი მხარს უჭერდა პატრიარქ ილიას კანონიერ მოთხოვნებს საქართველოს ეკლესიის სტატუსის შესახებ. ამ წერილის ასლი პატრიარქმა ნიკოლოზმა ჩვენს ეკლესიასაც გამოუგზავნა. მოგვყავს ამონარიდი პატრიარქ ნიკოლოზის წერილებიდან:

„მივიღეთ და შესაფერისი ყურადღებით გავეცანით, ჩვენი წმიდა სინოდის კრებაზე, ჩვენთვის ძალზე საყვარელი და სასურველი თქვენი უნეტარესობის და თქვენი წმიდა სინოდის ძმურ წერილს (№244-1 3 ივლისით დათარიღებული), რომელიც შეეხება დიპტიქში თქვენი წმიდა ეკლესიის ადგილს, ისტორიული და კანონიერი მონაცემებით.

მოგმართავთ პასუხით და მადლობას მოგახსენებთ თქვენს უნეტარესობას ამ წერილისათვის. გაცნობებთ, რომ სინოდის გადაწყვეტილებით ეს დოკუმენტები დაგაეგზავნა ჩვენი სინოდის შესაბამის კომპეტენტურ საბჭოს.

. . . გაცნობებთ, რომ აწგანსვენებული პატრიარქი ქრისტეფორე, თანახმად სინოდის გადაწყვეტილებისა, რომელმაც ჩამოაყალიბა პანორთოდოქსული აზრი იბერიის ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ, სრულიად საქართველოს კათოლიკოსს მოიხსენიებდა დიპტიხში რუსეთის უწმინდესი ეკლესიის პატრიარქის შემდეგ.

. . . ჩვენი სურვილია ამ საკითხთან დაკავშირებით მკაფიო გადაწყვეტილება მივიღოთ მსოფლიო საპატრიარქოსაგან, რამეთუ გვინდა ვირწმუნოთ, რომ . . . კანონიერად, პანორთოდოქსალურ საეკლესიო სინდისს წარმართავთ ახალი სიყვარულის ქმედებისაკენ,

ისე, რომ ყოველგვარი კამათის გარეშე ჩადგეს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ავტოკეფალურ ეკლესიათა რიგში.“ ალექსანდრიის პატრიარქი ნიკოლოზი. 1982 წ.

1990 წელს ალექსანდრიის საპატრიარქოს მიერ გამოცემულ კალენდარში განთავსებულ დიპტიხში საქართველოს ეკლესია VI ადგილზე მოიხსენიებოდა.

კეთილგანწყობის წერილები მოვიდა:

- იერუსალიმის პატრიარქ დიოდოროსისაგან;
- ათენისა და სრულიად ელადის მთავარეპისკოპოს სერაფიმესაგან;
- კვიპროსის საარქიეპისკოპოსოსაგან;
- მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ პიმენისაგან, რომელიც თავის წერილში საქართველოს პატრიარქისადმი აღნიშნავს: „დიდი ყურადღებით გავეცანით თქვენს ეპისტოლეს მისი უწმინდესობის, კონსტანტინოპოლისა და ახალი რომის მთავარეპისკოპოსისა და მსოფლიოპატრიარქის, უწმინდეს დიმიტრიოს I-ის მიმართ. ჩვენ ვიზიარებთ და მხარს ვუჭერთ თქვენს ენერგიულ საქმიანობას ძველი ქართული ეკლესიის კანონიერი უფლებებისა და მართლმადიდებლურ დიპტიქში სათანადო ადგილის აღდგენასთან დაკავშირებით. რუსეთის ეკლესიის წარმომადგენლებმა არაერთხელ განაცხადეს ამის შესახებ კონსტანტინოპოლის საპატრიარქო წევრებთან შეხვედრაზე“;
- ბულგარეთის პატრიარქ მაქსიმესაგან, რომელიც თავის წერილში აღნიშნავს, რომ „ბულგარეთის ეკლესია მხარს უჭერს მართლმადიდებლურ სამყაროში თითქმის ერთხმად მიღებულ ოფიციალურ დიპტიქს“ (რომლის მიხედვითაც საქართველოს საპატრიარქო VI ადგილზე იმყოფება მოსკოვის საპატრიარქოს შემდეგ);
- პრადის მიტროპოლიტ დოროთეოსისაგან, რომელიც თავის წერილში საქართველოს პატრიარქს მიმართავს სიტყვებით და აღნიშნავს, რომ: „თქვენო უწმინდესობავ, ჩეხოსლოვაკიის მართლმადიდებელი ეკლესია სრულიად იზიარებს თქვენს შეხედულებას და მხარს უჭერს იმ სამართლიან ისტორიულ ცნობებს, რომლითაც თქვენი უწმინდესობა ასაბუთებს, რომ საქართველოს ეკლესიამ უნდა დაიკავოს სათანადო ადგილი ღვთის უძველეს მართლმადიდებელ ეკლესიათა დიპტიქში“;
- სრულიად პოლონეთისა და ვარშავის მიტროპოლიტ ვასილისაგან, რომელიც თავის წერილში აღნიშნავს, რომ „პოლონეთის ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ეპისკოპოსთა კრებამ განიხილა საქართველოს ეკლესიის საკითხი და ერთხმად დაადგინა: 1. საქართველოს ეკლესია უნდა ჩაითვალოს სამოციქულო ეკლესიად, რამდენადაც იგი დააფუძნა სიმონ კანანელმა უფრო ადრე, ვიდრე რუსეთის ეკლესია შეიქმნებოდა; მეფე მირიანის განმგებლობის დროს, მოციქულთასწორის წმიდა ნინოს ქადაგების შემდგომ 326 წ. ქრისტიანობა გამოცხადდა სრულიად საქართველოს სახელმწიფოებრივ რელიგიად. 2. 468 წელს საქართველოს ეკლესიამ ანტიოქიის ეკლესიისაგან მიიღო ავტოკეფალია. ეს ფაქტი მისთვის სასარგებლოდ მეტყველებს, როგორც ავტოკეფალიასთან დაკავშირებით, ასევე დიპტიქში მის ადგილთან დაკავშირებით“.